მთავარი რედაქტორისაგან

ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ მიმდინაწე წლის პირველ და მეორე გაერთიანებულ გამოცემას, რომელიც ეძღვნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების 33-ე ევროპულ საგაზაფხულო კონფერენციას (“European Conference of Data Protection Authorities – Spring Conference”) და „ტექნოლოგიის მიმართულებით მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის“ რიგით 75-ე შეხვედრას (ე.წ. „ბერლინის სამუშაო ჯგუფს“, ‘’IWGDPT“). აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ორივე საერთაშორისო ღონისძიების მასპინძელი უწყება გახლდათ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების 33-ე ევროპულ საგაზაფხულო კონფერენციას — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში უმაღლესი დონის საერთაშორისო ღონისძიებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ქალაქ ბათუმში უმასპინძლა. „საგაზაფხულო კონფერენცია“ 1991 წლიდან იმართება და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის ახალი ტენდენციების განვითარებაში. ღონისძიების მთავარი მიზანია დიალოგი ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებსა და დარგის პრაქტიკოსებს შორის, რაც ქმნის ძლიერ ფორუმს მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების განსახილველად. კონფერენცია საუკეთესო პლატფორმაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტების განსახილველად და საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი სამართლის შედარებით ახალ დარგს წარმოადგენს, თუმცა პირადი სივრცის, პირადი ცხოვრების დაცვას საუკუნეების ისტორია აქვს. ილია ჭავჭავაძის სიტყვები – „ადამიანის უდიდესი საუნჯე მისი ვინაობაა“ – კონფერენციის მთავარი სლოგანი, ასახავს ჩვენს ღირებულებებს პიროვნების იდენტობისა და პირადი სივრცის მიმართ. სამი დღის განმავლობაში ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა ევროპელ კოლეგებთან ერთად გვესაუბრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: რეგიონალურ, ევროპულ და გლობალურ დონეზე ხელოვნური ინტელექტის რეგულირება და მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქა და ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, ბავშვთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანამედროვე სირთულეები, მონაცემთა დაცვის ოფიცრებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის პრაქტიკოსთა როლი და სხვა.

„ტექნოლოგიის მიმართულებით მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის“ რიგით 75-ე შეხვედრას, რომელიც 1983 წელს იქნა დაფუძნებული, სამსახურმა თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმასპინძლა. ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლისა და ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე გამოწვევები და აქტუალური საკითხები, მათ შორის: ნეირომონაცემები, 6G ტექნოლოგია, ციფრული იდენტობა, და სხვა. შეხვედრას თოთხმეტი ქვეყნის, ასევე ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველისა (“EDPS”) და ელექტრონული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საინფორმაციო ცენტრის (“EPIC”) ოცდახუთი წარმომადგენელი დაესწრო.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა აერთიანებს ზემოაღნიშნული ორი საერთაშორისო ფორმატის, ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილ მოხსენებებს, აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგის პრაქტიკოსთა, მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებს. მადლობას ვუხდი ღონისიძიებების მონაწილეებს წარმოდგენილი სტატიებისთვის, რომელთა საშუალებითაც მკითხველს კონფერენციაზე განხილული საკითხების გაცნობის უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა. ვიმედოვნებთ, რომ გამოცემაში გამოქვეყნებული შრომები, ერთი მხრივ, საინტერესო, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარი დამხმარე მასალა იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის და დარგის წარმომადგენელი პრაქტიკოსი იურისტებისთვის.

დოქტ., დოქტ. ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი